კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინფრასტრუქტურის აღდგენა ნინოწმინდას მონასტერში

გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა (ER)

მსოფლიო ბანკის დაფინანსებული
რეგიონული განვითარების პროექტი

თბილისი, საქართველო

სექტემბერი 2015

აბრევიატურები

EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EMP	გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა
ER	გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
RDP	რეგიონული განვითარების პროექტი
SECHSA	სტრატეგიული გარემოსდაცვითი, კულტურული მემკვიდრეობის და სოციალური შეფასება
WB	მსოფლიო ბანკი

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

ქვე-პროექტის მიზანს წარმოადგენს ტურისტული ინფრასტრუქტურის და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა ნინოწმინდას საკათედრო ტაძრისათვის. ობიექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის რეგიონის ქალაქ საგარეჯოში, თბილისიდან 58 კმ მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია კახეთის გზატკეცილის მეშვეობით. საგარეჯოს ქალაქის სტატუსი 1962 წელს მიენიჭა. იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ცენტრს.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს

არსებული პარკინგის მოწყობას;

- ახალი გადახურული პარკინგის ადგილის მოწყობა (4 მანქანისათვის)
- საყრდენი კედლის მშენებლობა მიმდებარე საცხოვრებელი სახლის საკადასტრო ხაზიდან მოკლე მანძილზე, მიწის ნაკვეთზე რომელიც რეგისტრირებულია როგორც მუნიციპალური საკუთრება
- სუვენირების მაღაზიის მოწყობა უნარშეზღუდული პირებისათვის ადაპტირებული შესასვლელით (დასავლეთ მხარეს)
- წინა პროექტის ფარგლებში აშენებული საზოგადოებრივი ტუალეტების რეკონსტრუქცია მათი გადაკეთებისათვის ღვინის სადეგუსტაციო მარნად
- ახალი საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობა
- ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება და გამწვანება (ახალი გამწვანებული სკვერების მოწყობა)
- განათების მოწყობა
- წყალმომარაგების სისტემის მოწყობა (ჭის მოწყობა და მილების ჩაწყობა ახლადაშენებულ საზოგადოებრივ ტუალეტებთან და ღვინის მარანთან დაერთებისათვის)
- საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და მისი დაერთება არსებულ ბიოლოგიურ წყალგამწმენდ ბლოკთან

(A) ზემოქმედების განსაზღვრა

აქვს თუ არა ქვეპროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	პროექტს უმნიშვნელო უარყოფითი ზემოქმედება აქვს გარემოზე და საგრძნობი გრძელვადიანი პოზიტიური ზემოქმედება აქვს სოციალურ გარემოზე
რაში მდგომარეობს ქვეპროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე?	ქვეპროექტს სავარაუდოდ გრძელვადიანი დადებითი სოციალური ზეგავლენა ექნება გარემოზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მეშვეობით, რასაც გამოიწვევს

	დაბინძურებასთან დაკავშირებული ცუდი სანიტარული პირობების გაუმჯობესება. გაზრდილ ტურისტულ ნაკადს დადებითი სოციალური ზემოქმედება ექნება დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მეშვეობით. ჭაბურღილების ბურღვა მონასტრის და მიმდებარე ტერიტორიაზე და წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის კომპონენტების მოწყობა განხორციელდება უტყეო ტერიტორიაზე, ამგვარად არ მოხდება ხეების ჭრა, თუმცა მოსალოდნელია ბუჩქებისა და ბალახეული საფარის დაზიანება. უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება სავარაუდოდ ხანმოკლე და ტიპიური იქნება მცირე და საშუალო მასშტაბიანი სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და სამშენებლო მანქანა–დანადგარების მუშაობის შედეგად გამოყოფილი გამონაბოლქვები; სამშენებლო ნარჩენების დაგროვება, ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის დაბრკოლება. მზარდ ტურისტულ ნაკადებს შესაძლოა ირიბი უარყოფითი ზემოქმედება ჰქონდეს გარემოზე: ნარჩენების დაგროვება, ვანდალიზმი და სხვ. ექსპლოატაციის ფაზაში გამომუშავებული მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების მართვა სათანადოდ უნდა განხორციელდეს რათა უზრუნველყოფილი იქნას გარემოზე ზემოქმედების შემსუბუქება
აქვს თუ არა ქვეპროექტს რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური ზეგავლენა ადგილობრივ ან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე?	არ არის მოსალოდნელი მიწის შესყიდვა და არანებაყოფლობითი განსახლება. ღვინის მარანი რომლიც რეკონსტრუქციაც ახალი პროექტით უნდა განხორციელდეს, ესაზღვრება ადგილობრივი მოსახლის ეზოს,

	იქიდან გამომდინარე რომ პირველი ფაზის ფარგლებში ამ შენობის წინა საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობამ მოსახლის უკმაყოფილება გამოიწვია, მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ მეორე ფაზის სამუშაოების დროს საზოგადოებრივი ტუალეტები გადაკეთდება ღვინის მარნად და მოსახლე ამ მარნიდან იქნება უზრუნველყოფილი წყლით 25 მმ დიამეტრის მილით (იხ. თანდართული ქონების მფლობელის ხელმოწერილი დასტური და საკადასტრო ინფორმაცია). ამჟამად მიმდინარეობს მიწების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის პროცესი. გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება დადებითი იქნება: ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტურისტების ნაკადის ზრდა, კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვა ტურისტულ ინფრასტრუქტურაში. ურაყოფითი ზემოქმედება მოკლევადიანია და შემოიფარგლება სამშენებლო მოედნით. გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება დადებითი იქნება: ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტურისტების ნაკადის ზრდა, კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვა ტურისტულ ინფრასტრუქტურაში (სასტუმროები, რესტორნები, ვაჭრობა, გართობა).

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

ქვეპროექტის დიზაინის რა ალტერნატივებია განხილული?	განხილული იქნა პარკინგის და სხვა საშუალებების განთავსების ალტერნატივები და შერჩეული იქნა ოპტიმალური ვარიანტი.

რა შემარბილებელი ღონისძიებებია შემოთავაზებული?	მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედება ადვილად იქნება შერბილებული სამშენებლო მოედნის დემარკაციით, ტრანსპორტის მართვით, სამშენებლო მექანიზმების კარგი მოვლა-პატრონობით, დადგენილი სამუშაო საათების დაცვით და ნარჩენების კარგად ორგანიზებული გატანით ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილზე. ნიადაგის ზედა ფენა მოიხსნება და სათანადოდ შეინახება შემდგომი გამოყენებისათვის გამწვანების აღსადგენად. ზედაპირულ ან გრუნტის წყლებზე ზემოქმედება ქლორის მაღალი კონცენტრაციის მქონე ჩამდინარე წყლებით, რაც მოსალოდნელია რეცხვისა და დეფინფექციის შედეგად, ახლადდამონტაჟებული წყლის მილების ექსპლოატაციის დაწყებამდე შემსუბუქებული იქნება მისი ნეიტრალიზაციით გარემოში გაშვებამდე. დამონატჟდება ბიოლოგიური წყალგამწმენდი ბლოკი და მოხდება მისი სათანადო ტექმომსახურება, რათა თავიდან იქნას აცილებული ახლადმოწყობილი საკანალიზაციო სისტემით წყლის დაბინძურება.
წინა ანალოგიური ქვეპროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტირებისას?	ის შეცდომები, რომლებმაც შეაფერხა წინა ქვე-პროექტის წარმატებით განხორციელება მხედველობაში იქნა მიღებული და სათანადოდ დაძლეული, ახალი ქვე-პროექტი ხელახლა იქნა განსაზღვრული და შესაბამისობაში მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან.
მონაწილეობენ თუ არა თემები ქვეპროექტში და სათანადოდ გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა ქვეპროექტის მომზადებისას?	საგარეჯოს ეპარქია და მოსახლეობა ინფორმირებული იქნა (კახეთის გუბერნატორის ოფისში ჩატარებულ შეხვედრაზე თელავში (03.02.2012)) კულტურული მემკვიდრეობის მომავალი რეაბილიტაციის გეგმების

	შესახებ და დადებითად მოახდინა მასზე რეაგირება. ქვეპროექტის სპეციფიური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა ხელმისაწვდომი იქნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისათვის; გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა საკონსულტაციო შეხვედრებზე იქნება განხილული სამუშაოების დაწყებამდე.

(C) რანჟირება

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით, ქვეპროექტი კლასიფიცირებულია, როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია

A ☐
B ☒
C ☐

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია ☐
2. ქვე-პროექტი მიღებულია ☒

მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვეპროექტის მომზადება საჭიროებს:

- ✓ გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ☐
- ✓ გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით ☒

ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)		✓
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?	✓	
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორიცაა ბეღლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის "დიახ", მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება** და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ **OP/BP 4.12** და **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის** შესაბამისად			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	✓	
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის "დიახ", მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.11Pფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით მოპოვებული მასალების განკარგვა უნდა განხორციელდეს **OP/BP–სა** და **გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტში** წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.			

***** ამჟამად მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის პროცესი. საბოლოოდ, დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები დაყოფილია 4 საკადასტრო ერთეულად. ამ პროცესის დასაჩქარებლად, მგფ-მა მოამზადა საკადასტრო ნახაზები და გადასცა ისინი საგარეჯოს ნუნიციპალიტეტს (იხ. თანდართული წერილები).

გარემოსდაცვითი შეფასება

1. შესავალი

1.1. საფუძველი

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის დახმარებით ახორციელებს კახეთის რეგიონული განვითარების პროექტს (RDP). RDP-ის სახსრებით დაგეგმილია რამოდენიმე ქვე-პროექტის განხორციელება.

მოცემული ქვე-პროექტი მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის - ნინოწმინდას მონასტრის არსებული ინფრასტრუქტურის აღდგენას და ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს, რაც RDP-ის ნაწილს წარმოადგენს და იგი მომზადდება, განიხილება, დატკიცდება და განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად.

1.2. ინსტიტუციური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში „მგფ“) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას, ფინანსური რესურსების ინვესტირებას ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და მომსახურების სფეროში, აგრეთვე ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის (თემებისთვის). ფონდი იქნება რეგიონული განვითარების პროექტის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც პასუხს აგებს მის მენეჯმენტზე და ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის შესრულებაზე.

ფონდი მოამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს დასამტკიცებლად ქვეპროექტის შეფასების ანგარიშებს თანდართული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებით. ქვეპროექტის გარემოსდაცვითი შეფასება შიძლება მოიცავდეს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას (გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის ჩათვლით), ან შემოიფარგლოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიით მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობებისათვის და განსახლების სამოქმედო გეგმით (RAP).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები

გრანტის მიმღები/სესხის ამღები: საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს სახით

ადგილობრივი წარმომადგენლობა: ქალაქ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

დაფინანსების წყაროები: მსოფლიო ბანკი და მუნიციპალური მმართველობა/საქართველოს მთავრობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)

ფინანსური სტრუქტურა

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობი სამშენებლო სამუშაოების, რაც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის, კერძოდ კი პარკინგის მოწყობას, სუვენირების მაღაზიის, ღვინის მარნის ტუალეტის, მისასვლელი გზის, შიდა და გარე წყალმომარაგებისა და ელმომარაგების უზრუნველყოფას ალავერდსა და ბოდბეში, წმინდა ნინოს მონასტერში, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 447 473.49 ლარს (დღგ-ს და დღიური თანხის გამოკლებით).
მთელი ქვე-პროექტისათვის საჭირო მთლიანი თანხა, რომლითაც გარდა ზემოთმოყვანილი სამუშაოებისა ასევე გათვალისწინებულია შემდეგი ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მოწყობა: პარკინგის, ვიზიტორების ცენტრის, ტუალეტების, მისასვლელი გზის მოწყობა, ბერების კელიების მშენებლობა, ფერმისა და შიდა და გარე წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების მოწყობა, რომლის თანხაც შეადგენს: 1,437, 399.32 ლარს (დღგ-ს და დღიური თანხის ჩათვლით).

განხორციელების სტრუქტურა

მსოფლიო ბანკის სასესხო ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან; პროექტის განხორციელების ხელშეკრულება მსესხებლსა (საქართველო) და MDF-ს შორის; საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება ნინოწმინდის მონასტრის პროექტის დასაფინანსებლად MDF-სა და ახმეტის მუნიციპალურ მმართველობას შორის;

1.3. კანონმდებლობა და რეგულაციები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008) პროექტი არ საჭიროებს გზშ–ს და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვეპროექტთან მიმართებაში მოქმედებს მსოფლიო ბანკის OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება, OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება.

რეგიონული განვითარების პროექტისთვის მიღებული ზემოთ აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკის და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, ქვეპროექტს მიენიჭა B (+) კატეგორია და საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის მომზადებას SECHSA-ს და EMF-ის რეკომენდაციების დაცვით.
პროექტი დამტკიცებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის რეგიონის ქალაქ საგარეჯოში. ქვე-პროექტი ითვალისწინებს ტურისტული ინფრასტრუქტურის და წყალმომარაგების სისტემის მოწყობას ნინოწმინდას საკათედრო ტაძრისათვის. კერძოდ კი: არსებული პარკინგის მოწყობას; ახალი გადახურული პარკინგის ადგილის მოწყობას (4 მანქანისათვის); ქვის საყრდენი კედლის მშენებლობას, სუვენირების მაღაზიის მოწყობა უნარშეზღუდული პირებისათვის ადაპტირებული შესასვლელით (დასავლეთ მხარეს); წინა პროექტის ფარგლებში აშენებული საზოგადოებრივი ტუალეტების რეკონსტრუქციას მათი გადაკეთებისათვის ღვინის სადეგუსტაციო მარნად; ახალი საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობას (ახალი პარკინგის მიმდებარედ); ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარებას და გამწვანებას (ახალი გამწვანებული სკვერების მოწყობა); განათების მოწყობას; წყალმომარაგების სისტემის მოწყობას (ჭის მოწყობა და მილების ჩაწყობა ახლადაშენებულ საზოგადოებრივ ტუალეტებთან და ღვინის მარანთან დაერთებისათვის); საკანალიზაციო სისტემის მოწყობას და მისი დაერთება არსებულ ბიოლოგიურ წყალგამწმენდ ბლოკთან.

არსებული პარკინგის მოწყობა, რაც დაწყებული იყო წინა პროექტის ფარგლებში, დასრულდება თავდაპირველი პროექტის შესაბამისად; კერძოდ კი: გზის გაფართოება ციხე-სიმაგრის კედლის მიმართულებით, იმგვარად, რომ გაჩნდეს პარკინგისათვის მანევრირების საშუალება და სათანადოდ გაფართოვდეს შესასვლელი გზა. გასწორდება არსებული ტროტუარის უსწორმასწორო საფარი, სრულად მოეწყობა ბორდიური ახალი ზუსტი დაკვალვის შესაბამისად; ახალი ბაზალტის ბლოკები ბეტონის საფუძველზე; შეკეთდება არსებული ტროტუარის დარჩენილი ნაწილები, სავალი ნაწილის არსებული ასფალტის საფარი შედგება ორი ტიპის სამოსისაგან: არსებული ასფალტის საფარის ნაწილის ზედა ფენა მოიფრეზება და ხელახლა მოეწყობა; საფარის ახალი მონაკვეთი მოეწყობა ასფალტო-ბეტონის ორი ფენით;

სანიაღვრე წყლის ევაკუაცია ზედაპირულად განხორციელდება, მიწის არსებული ქანობის მიხედვით; ფერადი ბეტონის ბრტყელი მილხიდის მოწყობა, რომელიც დაუბრკოლებლად შეაერთებს სავალი ნაწილის დონეს მწვანე გაზონთან, ციხე-სიმაგრის მთელ გაყოლებაზე.

ობიექტზე მოეწყობა ახალი გადახურული პარკინგი (4 მანქანისათვის), ახალი პარკინგი მდებარეობს ახალი საყრდენი კედლის გასწვრივ, რომელიც დაპროექტებულია ობიექტის ჩრდილოეთ კიდის გაყოლებაზე.

ქვის საყრდენი კედელი აიგება საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო ხაზის ჩრდილოეთ კიდეზე.

სუვენირების მაღაზია დასავლეთის მხრიდან აღიჭურვება შესასვლელი პანდუსით უნარშეზღუდულებისათვის. წინა ღიობი ტროტუარსა და ხის კონსტრუქციას შორის, და ასევე ხის კიბე აღმოსავლეთის მხრიდან ამოშენდება თლილი კირქვით. ტროტუარი სრულ რეკონსტრუქციას დაექვემდებარება, იგი გადაეწყობა გრძელ პანდუსად აღმოსავლეთიდან დასავლეთ შესასვლელამდე, უნარშეზღუდულებისათვის განკუთვნილი შესასვლელი პანდუსით. ამ მონაკვეთში, სრულად მოიხსნება ტროტუარის არსებული საფარი და მოეწყობა ახალი ბუნებრივი ქვის ქვაფენილი. მაღაზიისა და მიმდებარე სახლის სახურავი ნაწილობრივ რეკონსტრუქციას

დაექვემდებარება, იმისათვის რომ გამოირიცხოს თოვლის აკუმულირება და ნესტის შეღწევა შენობებში.
საზოგადოებრივი ტუალეტის არსებული შენობა გადაკეთდება ღვინის მარნად. კერძოდ: მოიხსნება არსებული აგურისმაგვარი მოპირკეთება; შენობა მოპირკეთდება დეკორატიული ქვით კირის ხსნარზე. შერჩეული ქვები იქნება საშუალო ზომის ქვის ფრაგმენტები, რომლებიც მოპირკეთების მინიმალურ სისქეს უზრუნველყოფს; შესასვლელი კიბე მოპირკეთდება კიბის მოსაპირკეთებელი სპეციფიური კერამიკული პროფილებით, რომელიც მაღაზიის იატაკის კერამიკული მოპირკეთების დეკორის ანალოგიურია; მარნის შესასვლელის თავზე მოეწყობა ხის კონსტრუქციის ჩარდახი კერამიკული ფილებით (სუვენირების მაღაზიის გადახურვის მსგავსი); მოიხსნება არსებული რკინის კარი (მისი გამოყენება მოხდება წყლის ახალი ჭის საოპერაციო ოთახისათვის); განხორციელდება შემოსასვლელი ღიობის რესტრუქტურიზაცია სპეციალურად სტილიზებულ სტილში და მოეწყობა ახალი შუშის კარი ფიქსირებული შუშის სარკმლით; შუშის კარის წინ დამონტაჟდება მეტალის დეკორატიული ორმაგი კარის კარკასი; შენობის შიგნით არსებული რკინა-ბეტონის ტიხრები ნაწილობრივ მოიხსნება, რათა მარნისათვის მიღებული იქნას ერთიანი სივრცე; მთლიანად მოიხსნება მარნის შიდა მოპირკეთება; მარნის ბრტყელ გადახურვაზე მოეწყობა 2 ღიობი ჭერის ალუმინის სარკმლებისათვის; მათი გამოყენება ასევე მოხდება შენობის ვენტილაციისათვის, ასე რომ სარკმლების ალათები მოძრავი იქნება; შიდა კედლების ნაწილი აგურით მოპირკეთდება, ნაწილი კი შეილესება და შეიღებება; ჭერი შეილესება და შეიღებება; იატაკი მოპირკეთდება დეკორატიული კერამიკული ფილებით (შემოსასვლელი კიბის მოპირკეთების ანალოგიურად); მოეწყობა ტუალეტი პერსონალისათვის, არსებული წყლისა და კანალიზაციის მილსადენების გამოყენებით; შენობა უზრუნველყოფილი იქნება გარე განათებით; ხელახლა მოეწყობა შიდა ელ.გაყვანილობა; მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ მომიჯნავე მოსახლე მარნის წყალმომარაგების სისტემიდან, რომელიც მიერთებულია ღრმა წყალმომრაგების ჭაზე, იქნება უზრუნველყოფილი წყლით 25 მმ დიამეტრის მილით; ამ ხაზზე დამონტაჟდება წყლის მრიცხველი.

ახალი საზოგადოებრივი ტუალეტი დაპროექტებულია საკადასტრო საზღვრის სამხრეთ ნაწილის გასწვრივ. ღიობი მიმდებარე ობიექტის ღობესთან (ბეტონის ბლოკის კედელი, შელესილი და შეღებილი) გამოყენებულია შესასვლელ პანდუსად უნარშეზღუდულებისათვის. ღობეში არსებული კარის ღიობი ამოშენდება და შეილესება. ტუალეტის იატაკი გზის მოპირკეთებული მონაკვეთის დონის ქვემოთ 0.75 მ-ით არის დაწეული, იმისათვის რომ წვიმის წყალი თავისუფლად გაედინოს ობიექტის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ.
ახალი საპროექტო ტერიტორიის ცენტრში მდებარეობს ახალი გამწვანებული სივრცე, სკვერი, რომელსაც გარს აკრავს 0,4 მ სიმაღლის ქვის კედელი, რომელიც შეასრულებს ბორდიურის და ასევე წვიმის წყლის დამჭერი კედლის დანიშნულებას - ობიექტის აღმოსავლეთ ნაწილში. ახალ ადგილას არსებობს გზის საფარის ორი ტიპი გზის არსებული და ახალი მონაკვეთებისათვის, რომელიც ძველის მსგავსია.

წყალმომარაგების სისტემის მოწყობა მოიცავს: ჭაბურღილების გაბურღვას მონასტრისა და მიმდებარე ტერიტორიებზე; მცირე ზომის ნაგებობების აშენებას 150 ლიტრიანი

ჰერმეტული რეზერვუარისა და ჭაბურღილის სამართავი გამანაწილებელი ფარისათვის; წყალსარინი მილების ჩაწყობას წყლის მომხმარებლისთვის, მონასტრის ჩათვლით; საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაციას და საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ბლოკის მოწყობას.

ტურისტებისა და პერსონალისათვის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე მოეწყობა ორგანყოფილებიანი ტუალეტი, თითოეულ სექციაში დამონტაჟდება ორი უნიტაზი და სამი ხელსაბანი. ტუალეტის ცივი წყლით მომარაგება განხორციელდება ეზოს წყლის მილსადენიდან. ცივი წყლის მილის დიამეტრი შეადგენს 25მმ, საზოგადოებრივი ტუალეტის თითოეულ სექციაში დამონტაჟდება 2 წყლის გამათბობელი, სიმძლავრით 4.5 ლ/წმ (8.5კვ/სთ); ცივი წყლის მილების მასალაა პოლიპროპილენი, დიამეტრი - 25-20მმ. PN10 მილები ჩაეწყობა ფოლგის გარეშე, მაშინ როდესაც ცხელი წყლის მილები ფოლგით იქნება მოწყობილი. მილების ჩაწყობა უნდა განხორციელდეს იატაკის მომზადებისას. კანალიზაციის ქსელი უნდა მოეწყოს პოლიპროპილენისა და პოლივინილქლორიდის მილებით და ფიტინგებით, დიამეტრით 100-50მმ. ეს ქსელი უნდა მოეწყოს იატაკის ფილის ქვეშ; საბოლოოდ კანალიზაცია მიუერთდება არსებულ ჩამდინარე წყლების ბიოლოგიურ გამწმენდ ბლოკს.

3. საბაზისო გარემო პირობები

ადგილმდებარეობა და მოსახლეობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (ისტორიულად "გარე კახეთი") საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება გარდაბნისა და მცხეთის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით საზღვრავს სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით საზღვრავს თელავის,თიანეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა. მუნიციპალიტეტის ცენტრს წარმოადგენს საგარეჯო, რომელიც თბილისიდან აღმოსავლეთით 45 კმ მანძილზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 772 მ სიმაღლეზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფართობია 1553.69 კმ^2. მისი მოსახლეობა შეადგენს 59.8 ათას მოსახლეს და შედგება ქართველების, აზერბაიჯენელების, სომხების, რუსების, უკრაინელების, ოსების, ბერძნებისა და ქისტებისაგან.

მორფოლოგიური, გეოლოგიური, ტექტონური და ჰიდროგეოლოგიური პირობები

ტექტონიკის მიხედვით, კახეთის რეგიონი მოიცავს სამ მსხვილ გეოტექტონურ ბლოკს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ მთათაშორისი დაწევის ზონაში, რომელიც წარმოდგენილია გარე კახეთის ქვე-ზონით კახეთის ფარგლებში. ცივ-გომბორის მთაგრეხილი წარმოადგენს ფართო ახალგაზრდა ანტიკლინს, რომელიც ჩამოყალიბდა პლიოცენური განშტოების დეპოზიტების სუბსტრატზე. აღნიშნული დეპოზიტები განთავსებულები არიან შეუსაბამოდ ცარცული და პალეოგენური კომპლექსის ნაკეცებიან დეპოზიტებზე. ცივ-გომბორის მთაგრეხილის თხემის ნაწილში და მისი ჩრდილოეთ ქანობის ზედა საფეხურზე გვხვდება ბრტყელ-ტალღოვანი წყალგამყოფების ფრაგმენტები და შემორჩენილი

გაშიშვლებული ზედაპირები. ისინი გაპობილები არიან ხეობებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია ძლიერი შლამის ნაკადის აქტიურობა.

გეოლოგიური საფრთხეების ზოგადი შეფასება

კახეთის რეგიონის სამხრეთი ნაწილი, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის და დავით გარეჯის ჩათვლით, განთავსებულია 7-ბალიანი ინტერნსივობის სეისმურ ზონაში. სეისმური ზონის ცენტრალური ნაწილი, რომელშიც დედოფლისწყარო და საგარეჯო მდებარეობს, ხვდება 8-ბალიანი აქტივობის ფარგლებში.

კახეთის რეგიონში ინტენსიურად არის გავრცელებული ზედაპირული და ქარისმიერი ეროზია. დედოფლისწყაროს რაიონი და სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონის სამხრეთ ტერიტორიები გამოირჩევა განსაკუთრებულად ძლიერი ზედაპირული და ქარისმიერი ეროზიით. ზემოხსენებულ არეალში სასოფლო სამეურნეო ნაკვეთების ათასობით ჰექტარი ძლიერ დაზიანებულია და ეროზიული პროცესების გამო ფაქტობრივად ამოღებულია მიწის ფონდიდან.

ჰიდროლოგიური ქსელის მოკლე აღწერა

მუნიციპალიტეტის მთავარ მდინარეს წარმოადგენს მდინარე იორი. მდინარე იორზე წყალსაცავის მშენებლობის შემდეგ სრულიად დარეგულირდა მდინარის დინება მის ქვედა ნაწილში. მდინარე იორი სამხრეთით კვეთს ივრის ფერდობს.

იორის მაღლობის გეო-ბოტანიკური რეგიონი მოიცავს თვალუწვდენელ ტერიტორიას მდინარეებს მტკვარი-ალაზანი შორის. იგი განფენილია 168 კმ მანძილზე თბილისის სამხრეთ-დასავლეთისაკენ, აზერბაიჯანის საზღვრამდე. ამ არეალის მაქსიმალური სიგანე შეადგენს 55-60კმ. ჩრდილოეთით იორის მაღლობი ესაზღვრება საგურამო-იალნოს და გომბორის მთაგრეხილს, ხოლო სამხრეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით – აზერბაიჯანის საზღვარს და ელდარის დაბლობს.

ამ ოლქის ჰიდროგრაფიული სისტემა საკმაოდ მწირია. იორის მთელ მაღლობს კვეთს მდინარე იორი, რომელსაც ამ ოლქში თითქმის არ გააჩნია შენაკადები. მაღლობზე (გორაკების ფერდობები) ჩაედინება მხოლოდ მცირე ნაკადულები (ლოჭინისხევი და ა.შ.). ასევე სახეზეა მშრალი ხევები. გაზაფხულზე ისინი ივსება და წყალი აღწევს დედა მდინარეს. აქ აგრეთვე არსებობს მლაშე ტბები (კაჯირი, უჯარმა, და ა.შ) და მლაშე ნაკადულები. ძველი ღრმულები (შირაქი, ტარიბანა და ა.შ.) ამოვსებულია მეოთხეული პერიოდის დანალექებით. ღრმა ჰორიზონტები შეიცავს არტეზიული წყლის მნიშვნელოვან მარაგს.

კლიმატი

ეს ოლქი ხასიათდება მშრალი კონტინენტური კლიმატით, რომელიც სიმაღლის მიხედვით იცვლება სუბ-ტროპიკულიდან ზომიერ კლიმატურ ზონად. წლიური ტემპერატურა ალაზნისა და იორის ხეობებში 13-14 ^{0}, ხოლო მაღლობის უმაღლეს წერტილებში - 9-100^{0}. ნალექების წლიური რადენობა განსხვავებულია ადგილის მიხედვით, ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ნალექები მხოლოდ 200-300 მმ-ია, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში – 400-500მმ, ხოლო უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში – 600-700მმ. ნალექების ყველაზე დიდი მოცულობა სახეზეა მაის-ივნისის პერიოდში. ზაფხული ძალიან ცხელი და გვალვიანია.

ნიადაგები

იორის მაღლობის ნიადაგები ხასიათდება სხვადასხვაგვარი შემადგენლობით. ყველაზე ჭარბად გავრცელებულია შავმიწა ნიადაგები. მათი ჩამოყალიბება დიდი ხნის წინ დაიწყო (ტყეების განადგურების შემდეგ). აგრეთვე ფართოდ გავრცელებულია წაბლა, მლაშობი და ბიცობი ნიადაგები. ტყის განადგურების შემდეგ აგრეთვე შეინიშნება ნაცრისფერი ტყის ნიადაგი და გარდამავალი ნიადაგების სხვადასხვა ალტერნატივები.

კულტურული რესურსები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში უხვადაა შემორჩენილი ისტორიული ძეგლები. აღსანიშნავია სოფელი უჯარმა, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 770 მ-ზე. იგი ისტორიული კახეთის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი იყო. V ს. II ნახევარში მეფე ვახტანგ გორგასალმა აქ ააშენა სამეფო რეზიდენცია.

საგარეჯოდან 14-15 კმ დაშორებით მდებარეობს სოფელი ხაშმი, სადაც მდებარეობს სამების ეკლესია. უძველესი ეკლესიაა, ადრე კაწარეთის სამება ერქვა. სოფელ პატარძეულში შემორჩენილია ორი კოშკი, ციხის ნანგრევები და ეკლესია. სოფელ გიორგიწმინდაში არის ერთნავიანი ეკლესია.

ნინოწმინდის ტაძარი V საუკუნის საყურადღებო ძეგლია, იგი 1811 წლამდე მოქმედი იყო. ამ პერიოდის შემდეგ იგი გააუქმეს რუსმა დამპყრობლებმა და მან შეწყვიტა ფუნქციონირება. ნინოწმინდის საკათედრო ტაძარმა 2002 წელს განაახლა ფუნქციონირება.

შუა საუკუნეებში იგი საქართველოს კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. პირველი წიგნი "მოქცევაი ქართლისაი" ნინოწმინდაში დაიწერა IV საუკუნეში სალომე უჯარმელის და ფეროჯავრ სივნიელის მიერ.

4. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

4.1. მშენებლობის ფაზა

სოციალური ზეგავლენა

- <u>სოციალური საკითხები ზოგადად</u>. სარეაბილიტაციო საქმიანობით გამოწვეული მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენა, როგორიცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლა, ახალმოსახლეების ნაკადი, მეორადი განვითარება, სამუშაო შესაძლებლობები და შიდსთან დაკავშირებული რისკების ზრდა გათვალისწინებული არ არის.
- <u>განსახლების საკითხები</u>. პროექტი არ ითვალისწინებს კერძო მიწის შეძენას და პერმანენტული ხასიათის ზეგავლენას კერძო, ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და კერძო აქტივებსა, თუ ბიზნესებზე.
- <u>მშენებლობაზე მუშების დასაქმების შესაძლებლობასთან დაკავშირებული პოზიტიური ზეგავლენა</u> – შეზღუდული და დროებითი მშენებლობის პერიოდში და შეზღუდული - ექსპლოატაციის პერიოდში.
- <u>ხმაურთან, ვიბრაციასთან და გამონაბოლქვებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები.</u> – შეზღუდული და დროებითი.

- <u>სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა</u>. ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა შესაძლოა დროებით შეიზღუდოს მიმდინარე სამუშაოების პროცესში.
- <u>უსაფრთხოება და მისასვლელი გზები.</u> სარეაბილიტაციო ტერიტორიის მახლობლად მდებარე ტერიტორიებზე მისვლა შეიზღუდება და შესაბამისად დაიკლებს სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეებისათვის მოსალოდნელი პოტენციური საფრთხე რეაბილიტაციის პროცესში.
- <u>ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე.</u> სამშენებლო ობიექტების მახლობლად წარმოდგენილია მიწისზედა ძეგლები და ცნობილი არქეოლოგიური ობიექტები. მაღალია ძეგლების ესთეტურ ღირებულებაზე და სტილზე ზემოქმედების რისკი. სამშენებლო სამუშაოების მსვლელობაში საჭიროა ზედამხედველობა. არსებობს რისკი იმისა, რომ მძიმე აღჭურვილობით (ბულდოზერი) გამოწვეული რხევები და ძვრები გამოიწვევს ისტორიული შენობების დაზიანებას. სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, განსაკუთრებით კი მიწის სამუშაოების დროს, არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში უნდა მოხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერება და მათი განახლება - კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. სამშენებლო სამუშაოების ზეგავლენა ბერების სამონასტრო ცხოვრებაზე იქნება შეზღუდული და დროებითი სახის.

გარემოზე ზემოქმედება

სამშენებლო მასალების და ნარჩენების არასწორმა მართვამ, შენახვამ, გამოყენებამ და გადაყრამ, შესაძლოა გამოიწვიოს წყლის/მიწის დაბინძურების რისკი სამშენებლო ტერიტორიასა და შენახვის ადგილას. აღჭურვილობის არასწორმა მოვლა-პატრონობამ და საწვავით შევსებამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს მიწის და გარკვეულწილად წყლის (სეზონური ნიაღვარის გადასასვლელთან ახლოს) პოტენციური დაბინძურება. ეს უკანასკნელი ზეგავლენა ნაკლებ სავარაუდოა.

ნიადაგის დაბინძურება

მსგავსი სახის პროექტთან დაკავშირებული პოტენციური დაბინძურების საშუალებებია (მოცემული ნუსხა არ მოიცავს ყველა საკითხს):

- სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებებთან და მექანიზმებთან დაკავშირებული დიზელის საწვავი, საზეთი ზეთი და ჰიდრავლიკური სითხე, ანტი-ფრიზი და სხვ.
- სხვადასხვა დამაბინძურებელი (მაგ. ცემენტი და ბეტონი);
- სამშენებლო ნაგავი (შეფუთვა, ქვები და ხრეში, ცემენტის და ბეტონის ნარჩენი, ხე და ა.შ.).

წყლის დაბინძურება

წყლის დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა წყარომ, შემდეგი წყაროების ჩათვლით:

- საწვავის, ზეთის, ან სხვა სახიფათო ნივთიერების დაღვრამ, განსაკუთრებით საწვავის ჩასხმის პროცესში;
- შლამიანი წყლის გათავისუფლებამ მიწიდან;
- ჩამონადენი წყლის შლამმა (”სამშენებლო წყალი”);
- სატრანსპორტო საშუალებების, ან აღჭურვილობის გარეცხვამ;
- დაბინურებული მიწის და გრუნტის წყლის დაუცველობამ.
- ზედაპირულ ან გრუნტის წყლებზე ზემოქმედებამ ქლორის მაღალი კონცენტრაციის მქონე ჩამდინარე წყლებით, რაც მოსალოდნელია რეცხვისა და დეფინფექციის შედეგად, ახლადდამონტაჟებული წყლის მილების ექსპლოატაციის დაწყებამდე.

გაჟონვა შეიძლება სწრაფად ჩავიდეს ქვემოთ წყლის ობიექტის დინებისკენ. დაბინძურების წყალში ჩასვლის შემდეგ შესაძლოა ძნელი იყოს მისი ლოკალიზება, რაც შემდგომ ზეგავლენას მოახდენს ქვედა ბიეფის ვრცელ ფართობზე. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოპერატიული ქმედებების გატარებას ნებისმიერი პოტენციური დაბინძურების შემთხვევისას.

სამუშაო ფართობის ნიადაგის ზედა ფენისგან გათავისუფლების შემდეგ ზედაპირზე ჩნდება ქვედა ფენა. წვიმიან ამინდში მიწის სამუშაოების წარმოების დროს აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ფართობიდან შეწონილი ნარჩენების უკონტროლო გადინება.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მინიმალურია და უკავშირდება ტრანსპორტისა და მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციას სამშენებლო მოედანზე და მასალების ტრანსპორტირების დროს.

- ხმაური და ვიბრაცია მძიმე ტექნიკისა და ტრანსპორტისგან;
- გამონაბოლქვი (ტრანსპორტისგან, ბულდოზერებისა და ექსკავატორებისგან და ა.შ).
- მტვერი (სატრანსპორტო საშუალებებისაგან);
- შესაძლებელია გაჩნდეს სუნის პრობლემა, რაც უკავშირედება მასალების მოწოდებასა და ტრანსპორტირებას.

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ინერტული ნარჩენების წარმოქმნა, კერძოდ:
- ბუნებრივი მასალები (ნიადაგი და ქანები);
- უსაფრთხო ნივთიერებებით ან საგნებით დაბინძურებული ნიადაგი;
- შენობების ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ინერტული მასალები

არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები

ძირითადად უვნებელი სამშენებლო ნარჩენები მოიცავს:

- შესაფუთ მასალას;
- მეტალებს (ჯართი და მავთული) – მოსალოდნელია მცირე მოცულობის ლითონის ნარჩენები.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

სახიფათო ნარჩენების მცირე მოცულობა ძირითადად წარმოიქმნება ტრანსპორტის ტექ. მომსახურების სამუშაოების შედეგად. სახიფათო ნარჩენები, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მოიცავს:

- თხევად საწვავს;
- საცხებ-საპოხ მასალას, ჰიდრავლიკურ სითხეს;
- ქიმიკატებს, მაგ. ანტიფრიზს;
- დაბინძურებულ ნიადაგს;
- დაღვრების საწინააღმდეგო მასალებს, რომლებიც გამოიყენება დაღვრილი ზეთის და ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯებს;
- ზეთიან ტილოებს, ნახმარ ფილტრებს, დაბინძურებულ ნიადაგს და ა.შ.
- აზებესტს

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

- ხმაურის და ვიბრაციის ზეგავლენა
- ტრანსპორტის საცობი (დაბრკოლება)
- ჰაერის დაბინძურება
- ტალახი გზებზე
- ტრანსპორტის საწვავით შევსება, ტექ. მომსახურება და რეცხვა და მასთან დაკავშირებული ნიადაგისა და წყლის დაბინძურების რისკი.

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგები მისი მოჭრის შედეგად

- ნიადაგის ზედა ფენის ეროზია არასწორი შენახვისა და აღდგენის გამო;
- ნატანის ჩადინება მდინარესა და წყლის ობიექტებში;
- დაბინძურებული ნიადაგის ზემოქმედება;

ფლორა, ფაუნა და ლანდშაფტი

ფლორაზე სავარაუდო ზეგავლენა მინიმალურია, მიუხედავად ამისა იგი გათვალისწინებულია პროექტის საინჟინრო პროექტში. პროექტი არ ითვალისწინებს ბუჩქების და ხეების მოჭრას.

საპროექტო არეალში მობინადრე ფაუნის არც ერთი სახეობა არ არის დაცული არც საქართველოს კანონმდებლობით და არც სხვა საერთაშორისო კონვენციებით. გარდა ამისა, ობიექტი არ წარმოადგენს ნახსენები ჯიშების გამოსაზამთრებელ, საკვებ ან მიგრაციის ადგილს.

პროექტის საინჟინრო პროექტი არ ითვალისწინებს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას. პროექტამდე არსებული რელიეფი აღდგება თავდაპირველი სახით.

4.2. ექსპლოატაციის ფაზა

ქვე-პროექტის ობიექტზე უზრუნველსაყოფი მსუბუქი ინფრასტრუქტურა უნდა გადაეცეს იმ ორგანიზაციას, რომელსაც მიწა ეკუთვნის, ე.ი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფრასტრუქტურის ადეკვატურ ექსპლოატაციასა და მოვლა-პატრონობაზე. უზრუნველყოფილი მსუბუქი ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული პოტენციური ზეგავლენა ქვემოთ არის მოყვანილი:

- ტურისტების რაოდენობის ზრდა გამოიწვევს ნარჩენების და ხმაურის გაზრდას;
- ტრანსპორტის მოძრაობის გაზრდა გამოიწვევს ადგილობრივი გამონაბოლქვებისა და ხმაურის გაზრდას და მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემებს;
- ისეთი საქმიანობა, როგორიცაა მაგალითად ტურები არქეოლოგიურ ობიექტებზე, შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს ადგილობრივ ტრადიციებთან და/ან რელიგიურ რწმენასთან;
- ფრესკების ფოტოგადაღებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი დაზიანება იმპულსური სანათით, ფოტოქიმიური რეაქციის შედეგად

მოწოდებული წყლის დაქლორვის პოტენციური რისკები დაკავშირებულია დაქლორვის პროცესის დარღვევასთან, როდესაც:

- ხდება თხევადი ქლორის გაჟონვა და ქლორის შემცველობა სასმელ წყალში აჭარბებს დადგენილ ზღვარს;
- თხევადი ქლორის დაღვრამ საქლორატოროში შესაძლოა დააზარალოს პერსონალი; და
- წყდება დაქლორვის პროცესი.

დადებითი სოციალური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდასთან, რასაც დასაქმების კუთხით დადებითი ზეგავლენა ექნება ადგილობრივ მოსახლეობაზე.

5. შემარბილებელი ღონისძიებები

5.1. მშენებლობის ფაზა

ეს EMP მომზადდა პროექტთან დაკავშირებული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად.
კონტრაქტორს მოეთხოვება შემდეგი:

1. მოიპოვოს სამშენებლო მასალა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;
2. თუ კონტრაქტორს გააჩნია სურვილი გახსნას კარიერი ან მოიპოვოს მასალა მდინარის კალაპოტიდან (ნაცვლად მასალის შესყიდვისა სხვა მომწოდელისაგან)

ასეთ შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს ინტერული მასალების მოპოვების ლიცენზია;

3. თუ კონტრაქტორს გააჩნია სურვილი ამუშაოს საკუთარი ასფალტის ქარხანა (ნაცვლად მასალის შესყიდვისა სხვა მომწოდელისაგან), ასეთ შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელშიც მითითებული იქნება გარემოში გაშვებული დამაბინძურებლების ზღვრული დასაშვები ნორმა;
4. თუ კონტრაქტორს გააჩნია სურვილი ამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ნაცვლად მასალის შესყიდვისა სხვა მომწოდელისაგან), მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის ქარხნისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;

5. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს საგარეჯოს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, კონტრაქტორსა და შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის ხელშეკრულების საფუძველზე. ნარჩენების განკარგვის თაობაზე წარმოებული ჩანაწერები შეინახება, როგორც ადეკვატური მართვის დასტური.

სამუშაოების დაწყებამდე, ნარჩენების განთავსების შეთანხმება, და ლიცენზიების ასლები (საჭიროების შემთხვევაში) და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის ქარხნისათვის მგფ-სათვის უნდა იქნას წარმოდგენილი.

დაცული უნდა იქნას GOST და SNIP ნორმები.

მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული უნა იქნას შემდეგი შეზღუდვები და შემამსუბუქებელი ზომები:

1. შეიზღუდება სამშენებლო ტექნიკის გამოყენება;
2. ტექნიკამ უნდა იმოძრაოს მხოლოდ წინაწარ შეთანხმებული მარშრუტით;
3. შეიზღუდება მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე;
4. შეიზღუდება სამშენებლო ტექნიკის გადაადგილების სიხშირე;
5. სამშენებლო ობიექტზე იკრძალება სახიფათო ნარჩენების არაკონტროლირებადი შენახვა;
6. რეაბილიტაციის პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები ყოველდღიურად, სამუშაო საათების დასრულებისას უნდა იქნას გატანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიიდან;

მიწის სამუშაოების დროს, არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში უნდა მოხდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერება და მყისიერი შეტყობინება მგფ-სათვის, რომელიც ასევე მყისიერად აცნობებს კულტურის სამინისტროს. სამუშაოები განახლდება სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ხმაურის ზემოქმედება

ხმაური წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ტიპიურ ზემოქმედებას. გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესატყვისობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროექტო არეალისათვის, რადგანაც მთელი რიგი სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ისტორიული ძეგლების ტერიტორიაზე, რაც დაკავშირებულია მძიმე ტექნიკით მძიმე ტვირთის გადაზიდვასთან და საკმაოდ ინტენსიურ მოძრაობასთან უმნიშვნელოვანეს ისტორიული ძეგლების უშუალო სიახლოვეში.

სპეციალური ზომების განუხორციელებლობის და ტრანსპორტის და ტექნიკის შეუზღუდავი მოძრაობის შემთხვევაში, შესაძლოა მიყენებული იქნას სერიოზული ზიანი.

კონტრაქტორმა სამშენებლო ორგანიზაციამ სპეციალური ზომები უნდა გაატაროს სათანადო სამშენებლო ნებართვის მისაღებად და მიაღწიოს შეთანხმებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.

შემამსუბუქებელი ზომები

- მძიმე ტექნიკის მოძრაობისათვის შერჩეული ტრასა მაქსიმალურად უნდა იქნას დაშორებული ისტორიული ძეგლებიდან. გამონაკლის შემთხვევებში განსაზღვრული უნდა იქნას სატრანსპორტო მოძრაობის ნებადართული ინტენსივობა და სიჩქარე;
- ინერტული მასალების იმპორტი უნდა განხორციელდეს საპროექტო არეალის სიახლოვეს მდებარე ლიცენზირებული კარიერებიდან. ინერტული მასალების და ნებისმიერი სხვა სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისას ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი შეთანხმებული უნდა იქნას შესაბამის რეგიონულ სამსახურთან და ადგილი არ უნდა ჰქონდეს სატვირთო მანქანების ზედმეტად გადატვირთვას და ნებადართული მოძრაობის ინტენსივობის დარღვევას;
- ისტორიული ძეგლების სიახლოვეს სატვირთო მანქანების გავლისას მაქსიმალური სიჩქარე შეზღუდული უნდა იქნას უსაფრთხოებისათვის საჭირო დონეზე;
- სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს და დამკვეთს წარუდგინოს რისკ ფაქტორები, მათი შემამსუბუქებელი ზომები და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა;
- საგანგებო სიტუაციაში, დამკვეთთან შეთანხმებული ზომები უნდა განხორციელდეს დაინტერესებული ორგანიზაციების კონტროლის ქვეშ და მათი კომენტარების სათანადოდ გათვალისწინებით.
- უნდა აიკრძალოს მანქანა-მექანიზმების უქმი სვლა და გამოყენებული უნდა იქნას სათანადო მაყუჩები.

დაბინძურების საწინააღმდეგო ზომები

<u>წყლის/ნიადაგის დაბინძურება.</u> სამშენებლო ტერიტორიაზე აუცილებელია კონკრეტული შემამსუბუქებელი ღონისძიებების გატარება, წყლის და ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად:

- მდინარეების და ზედაპირული წყლის ობიექტების სიახლოვეს საწვავით გამართვის აკრძალვა
- მანქანების შემოწმება (საწვავის ჟონვა და ა.შ.), შესაბამისი პრევენციული ზომების გატარებით დაღვრის თავიდან აცილება, ტექნიკის ყოველდღიური შემოწმება, გაჟონვების ან სხვა პრობლემების გამოსავლენად. მანქანების ტექდათვალიერება, გაწმენდა და გაპოხვის მოშორება მოხდება განსაზღვრულ ადგილებში, მყარ ნიადაგზე და არა ხელოვნურ გრუნტზე. დაუშვებელია ამ მომსახურების ადგილების წყალსატევებიდან, ჭიდან და მდინარის ხევებიდან 50 მეტრ მანძილზე ახლოს განთავსება.
- საწვავის დასაწყობება და სატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის საწვავით გამართვა არ უნდა განხორციელდეს წყლის ობიექტების, ჭების, მშრალი ხეობების, ან ჭაობებისა და წყალშემცველი ჰორიზონტის ფარგლებში (50 მ მანძილზე). სატრანსპორტო საშუალებები არ უნდა იქნას ზედამხედველობის გარეშე მიტოვებული საწვავით გამართვის პროცესში. ობიექტზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს გაჟონვების შემაკავებელი მასალა (სორბენტები: ნახერხი, სილი, ჩალა).
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიახლოვეში დაუშვებელია საწვავის, საპოხის ან გამხსნელების შენახვა, ან მანქანების საწვავით გამართვა.
- კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწყოს და გადახუროს მასალების დასაწყობების ადგილი, მასალების საწყობი წყალგაუმტარი მასალით უნდა იყოს დაცული ჩარეცხვისაგან ან დატბორვისაგან ძლიერი წვიმის დროს.
- დაუშვებელია ასფალტის ან სველი ცემენტის და/ან ბეტონის წყალსატევში, გუბეში და თხრილში მოხვედრა.
- ახლადჩაწყობილი მილებისა და რეზერვუარების რეცხვა და დეზინფექცია.

  მილების და რეზერვუარების რეცხვისა და დეზინფექციის დასრულების შემდეგ, დეზინფექტანტი გაუვნებელყოფილი უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ, გარემოში გაშვებამდე - რათა თავიდან იქნას აცილებული ზიანის მიყენება მიწის ან წყლის ორგანიზმებისათვის. ქლორით დეზინფეციის შემთხვევაში ამის მიღწევა შესაძლებელია ნატრიუმის ბისულფატის აღმდგენი აგენტის გამოყენებით. აღმდგენი აგენტი თავის მხრივ კონტრაქტორის მიერ გამოყენებული უნდა იქნას ზუსტი დოზირებით, რათა ნეიტრალიზებული იქნას დეზინფექტანტი - მაგრამ არა უფრო დიდი მოცულობით, რადგანაც მისი ნარჩენები ასევე მავნეა წყლის ეკოსისტემისათვის. ნეიტრალიზებული წყლის გარემოში გაშვება კონტრაქტორის მიერ შეთანხმებული უნდა იქნას ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.

გრუნტის და კლდის ნაშალის განთავსება

- ადგილობრივ მოსახლეობას მიეცეს სამშენებლო სამუშაოების შედეგად დარჩენილი ქვების/ლოდების გამოყენების უფლება. მასალების გატანა შეთანხმებული უნა იქნას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საზოგადოებასთან კონსულტაციების მეშვეობით;
- დარჩენილი მასალა გადაიტანეთ უახლოეს ადგილას, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებთან. ნარჩენების გადაყრისთვის განსაზღვრული ობიექტები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ნაგავსაყრელებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ნარჩენების განკარგვა

დარჩენილი მასალა გადაიტანილი უნდა იქნას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილ ოფიციალურ ნაგავსაყრელზე.

სახიფათო ნარჩენები - ამ ნარჩენების მცირე მოცულობა წარმოიქმნება ძირითადად ტრანსპორტის ტექ. მომსახურების სამუშაოების შედეგად. ამგვარი ნარჩენები მოიცავს:

ზეთიან ტილოებს, ნახმარ ფილტრებს და ტილოებს და აზბეტს, რომელიც მიიღება სახურავების დემონტაჟის შედეგად, ამგვარი ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილად გამოყენებული იქნება უახლოესი ნებადართული ნაგავსაყრელი. განთავსების ადგილი და გადამუშავების პროცედურები შესატყვისობაში უნდა იყოს არსებულ ნორმებთან, აგრეთვე უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება შპს მყარი ნარჩენების კომპანიასთან.

- სამუშაოების დაწყებამადე კონტრაქტორის მიერ გაფორმებული უნდა იქნას ხელშეკრულება ლიცენზირებულ კომპანიასთან სახიფათო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით.
- ამ ტიპის მასალის დროებითი შენახვა უნდა მოხდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომელზეც მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია მის შემადგენლობასთან დაკავშირებით.
- ამგვარი ნარჩენების კონტეინერი უნდა განთავსდეს გაჟონვისაგან დაცულ სანახებში, რათა მოხდეს გაჟონვის თავიდან აცილება. გამოყენებული არ უნდა იქნას ტოქსიკური ინგრედიენტების შემცველი საღებავები.
- აზბესტი (სახლის ტერასიდან, რომელიც გადახურულია აზბესტით).

ინერტული და არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები და საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

- სამუშაოების დაწყებამადე კონტრაქტორის მიერ გაფორმებული უნდა იქნას ხელშეკრულება შპს მყარი ნარჩენების კომპანიასთან სამშენებლო ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით უახლოეს ნებადართულ ნაგავსაყრელზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები შესაძლოა წარმოიქმნას დასაწყობების ადგილას. მასში ძირითადად შედის: პლასტმასის ან მინის ბოთლები, საკვები ნარჩენები, სანიტარული ნაგავი და ა.შ. ნარჩენები უნდა შეგროვდეს სპეციალურად გამოყოფილი პერსონალის მიერ. ნარჩენები, რომელიც განთავსებულია პლასტმასის კონტეინერებში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას უნდა იქნას გატანილი.

პერსონალი, რომელიც ჩართული იქნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განკარგვაში გაივლის **ნარჩენების განკარგვისა და შენახვის** სპეციალურ ტრეინინგს.

დაუშვებელია ნარჩენების დაწვა ობიექტზე.

ნარჩენების განკარგვის თაობაზე წარმოებული ჩანაწერები შეინახება, როგორც ადეკვატური მართვის დასტური.

მტვერი და გამონაბოლქვები

სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რათა ხმაური და გამონაბოლქვი არ აწუხებდეს მუშებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს. სამუშაოების წარმოება უნდა მიმდინარეობდეს დღისით. საჭიროა ყველა სატრანსპორტო საშუალების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში - შეკეთება, რათა თავიდან იქნას აცილებული ტრანსპორტის ნაწილების გაუმართაობით გამოწვეული მომეტებული ხმაური.
დიზელის ძრავების შეკეთება აუცილებელია რეგულარულად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გამონაბოლქვი. აღნიშნული მიიღწევა მაგალითად, საწვავის ინჟექტორების გაწმენდით. მიმდინარე ტექნიკური მომსახურეობა უნდა იყოს მაღალი სტანდარტისა, რათა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია იყოს უსაფრთხო და მათგან გამოწვეული ხმაური მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. საჭიროა სამუშაო უბანზე ექსპლუატირებული ყველა მოწყობილობის რეგულარულად შეკეთება, რათა ისინი მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იყოს და ამით მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გამონაბოლქვები ატმოსფეროში.

სატრანსპორტო საშუალებების საწვავით შევსება უნდა ხდებოდეს ისეთი წესით, რომ ატმოსფერულ ჰაერში აქროლადი ორგანული ნაერთების მოხვედრა სამშენებლო მოედნებიდან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, რაც მიიღწევა საწვავის საცმებისა და ტუმბოების და დახურული ცისტერნების გამოყენებით (საწვავის შესანახად ღია ცისტერნების გამოყენება დაუშვებელია).
მშრალ პირობებში ან ჰაერში დიდი რაოდენობით მტვრის არსებობის ან მისი წარმოშობის მაღალი ალბათობის შემთხვევაში, აუცილებელი ხდება შემამსუბუქებელი ზომების მიღება, რაც უნდა მოხდეს სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელთან (მენეჯერთან) შეთანხმებით. შემამსუბუქებელ ზომებში შედის:

- დანამვა წყალმზიდით სასხურებლებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- სამშენებლო მასალებისა და დასაწყობებული მასალების გადახურვა დამცავი საფარით; და
- ტვირთის გატანა მხოლოდ წინასწარ დადგენილი გზებითა და სატრანსპორტო საშუალების დაბალი სიჩქარით გადაადგილება - საჭიროების შემთხვევაში. მასალების გადაზიდვა სამშენებლო უბანზე პიკის საათებამდე ან მის შემდეგ უნდა ხდებოდეს;
- აუცილებელია სამშენებლო უბანზე გადაზიდული მასალების გადახურვა ან დასველება/დანამვა, რათა შევამციროთ მტვრის წარმოქმნა. საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო უბანიც ინამება (ირწყვება). საჭიროების შემთხვევაში მუშებს დაურიგდე-ბათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და მოხდება ყველა სატრანსპორტო საშუალების შემოწმება და შეკეთება, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი გამონაბოლქვი სატრანსპორტო საშუალების გაუმართავი ნაწილების გამო.
- ნგრევის დროს მტვრის შეკავება უნდა განხორციელდეს დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების მონტაჟის მეშვეობით.
- მიმდებარე გარემო, ტროტუარები და გზები, სამშენებლო ნარჩენებისაგან უნდა განთავისუფლდეს მტვრის შესამცირებლად.

ქვე-ნიადაგის დასაწყობება (შენახვა)

ქვე-ნიადაგის ფენის შენახვა ხდება არა უმეტეს 3 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 60°-ს. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- ქვე-ნიადაგის დასაწყობების ადგილები იმგვარად უნდა იქნას შერჩეული, რომ არ ხდებოდეს მათი დატკეპნა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას და მათი დაბინძურება სხვა მასალებით;
- ქვე-ნიადაგის ფენის გროვები გამოყოფილი უნდა იყოს ნიადაგის ფენის გროვებისაგან;

ნიადაგის ზედა ფენის შენახვა და აღდგენა

მიწის სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიხსნას ნიადაგის ზედა ფენა. კონტრაქტორი ნიადაგის ფენაზე არ ჩაატარებს არანაირ სამუშაოს, თუ ადგილი აქვს შემდეგ გარემოებებს:

- ნიადაგის ფენა გაყინულია;
- მოცემულ ტერიტორიაზე აღინიშნება ნალექის მუდმივი ვარდნა;
- ნიადაგის ფენა გაჟღენთილია; ან
- სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში დაზიანდება ნიადაგის ფენის სტრუქტურა.

ნიადაგის ფენის შენახვა ხდება არა უმეტეს 2 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 45°-ს. ამასთან, მხედველობაში მიიღება შემდეგი:

- ნიადაგის დასაწყობების ადგილები იმგვარად უნდა იქნას შერჩეული, რომ არ ხდებოდეს მათი დატკეპნა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას და მათი დაბინძურება სხვა მასალებით;
- ნიადაგის ფენის გროვები გამოყოფილი უნდა იყოს ქვე-ნიადაგის გროვებისაგან;
- დაუშვებელია ნიადაგის ფენის გროვებად დასაწყობება, თუ არსებობს მოცემული ტერიტორიის დატბორვის საფრთხე;
- დაუშვებელია ნიადაგის გროვებად დაწყობა მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგის გროვები მნიშვნელოვან ეროზიას განიცდის, კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს გამასწორებელი ზომები, როგორიცაა ეროზიის საწინააღმდეგო საფარის მოწყობა გროვების თავზე, თუ შეუძლებელი იქნება ზედაპირის დატკეპნვა და/ან დაგრუნტვა. კონტრაქტორი გროვებს დაიცავს დატბორვისა და გაჟონილი წყლისაგან ბერმების ან მისი ექვივალენტის მოწყობით გროვების ირგვლივ, საჭიროებისამებრ.
ნიადაგის გროვებზე ზედამხედველობა აუცილებელია და რაიმე არასასურველი გარემოების არსებობისას საჭიროა გამასწორებელი ზომების მიღება.

ამოთხრილი ნიადაგის ზედა ფენა გამოყენებული იქნება ტერიტორიის ხელახალი კულტივაციისათვის, ხოლო ის ნაწილი, რომელიც არ იქნება აღდგენილი თავდაპირველ მდგომარეობაში ფრთხილად უნდა იქნას მოყრილი მიმდებარე ტერიტორიაზე.

მიმდებარე ლანდშაფტის და მცენარული საფარის დაცვა

სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ ტრანსპორტისათვის გამოყოფილ ზოლებში; უნდა მოეწყოს ჯიბეები სატრანსპორტო საშუალებების მოსატრიალებლად; ხეების და ბუჩქები მკაცრად უნდა იყოს დაცული ზიანისაგან წყალმომარაგების სისტემის მონტაჟის დროს. ყველა მუშა მკაცრად უნდა იქნას გაფრთხილებული ნაგვის გადაყრის ან სხვა არასასურველის საქმიანობისაგან მოცემული ლანდშაფტის ფარგლებში. დიდი ზომის ხეები ობიექტის სიახლოვეში მონიშნული უნდა და შემოღობილი უნდა იქნას, მათი ფესვთა სისტემა დაცული უნდა იქნას რათა ტავიდან იქნას აცილებული ხეებისათვის ზიანის მიყენება.

ობიექტზე უსაფრთხო მისვლისათვის საჭირო შემამასუბუქებელი ზომები

ადგილობრივი ნორმებისშესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს სამშენებლო ობიექტის სათანადო დაცვას და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოტ მოყვანილით:

- გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების და შემოვლითი მოძრაობის ნიშნების დაყენება: ობიექტი ნათლად უნდა ჩანდეს და საზოგადოება გაფრთხილებულ იქნას ყველა პოტენციური საფრთხის შესახებ;
- ვიზიტორებისათვის უზრუნველყოფილი უნდა ინქნას ალტერნატიული უსაფრთხო გზა.
- სამშენებლო ობიექტი და ყველა თხრილი შემოღობილი და სათანადოდ დაცული უნდა იქნას რათა თავიდან იქნას აცილებული უნებართვო შესვლა ობიექტზე (განსაკუთრებით ბავშვების);
- უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო განათება და კარგად განსაზღვრულ;ი უსაფრთხოების ნიშნები;
- სამუშაო სათების მორგება ადგილობრივ რეალობასთან; მაგ: მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მოძრაობის თავიდან აცილება პიკის საათების ან საქონლის გადაადგილის დროს.

5.2. ექსპლოატაციის ფაზა

ტურისტების რაოდენობის მომატებასთან ერთად მოიმატებს ნარჩენების რაოდენობა შემამსუბუქებელი ღონისძიებები:

- ტურისტების თავშეყრის ადგილზე განსათავსებელი აუცილებელი კონტეინერების რაოდენობა და მოცულობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ტურისტთა სავარაუდო რაოდენობა; ტერიტორიის ფართობი, მისასვლელი გზების არსებობა. როგორც

გამოთვლებიდან ჩანს, ყოველ სავარაუდო 300 ტურისტზე უნდა დაიდგას 1 ცალი 1.1 მ3 მოცულობის მეტალის კონტეინერი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაშორება კონტეინერებს შორის არ უნდა იყო 50 მ-ზე მეტი და ამავდროულად 1.1 მ3 მოცულობის კონტეინერებთან უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკის მისვლის და მანევრირების საშუალება. თუ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები ვერ კმაყოფილდება, აუცილებელია გამოვიყენოთ მცირე ზომის ადვილად გადასაადგილებელო 0.24 მ3 მოცულობიოს პლასტმასის კონტეინერები.

- საჯარიმო სანქციების შემოღება
- კონტეინერების განთავსება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ არ მოხდა საჯარიმო სანქციების შემოღება, დანერგვა და შენარჩუნება.

რაც უფრო ეფექტურად იმუშავებს დაჯარიმების მექანიზმი, მით უფრო შემჭიდროვებულ ვადებში მივაღწევთ დასახულ მიზანს.

კულტურული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე იმრავლებს მანქანების რაოდენობა რაც გამოიწვევს დამატებით ემისიებს და ხმაურს.
შემამსუბუქებელი ღონისძიებები:

- ნინოწმინდაში პარკინგი მდებარეობს მონასტრიდან 8-10 მ მოშორებით, მისასვლელი გზის საპირისპირო მხარეს, შესაბამისად პარკინგს არ ექნება საგრძნობი უარყოფითი ზეგავლენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე.
- ავტო პარკინგის ადგილი ისე უნდა იყოს გათვლილი რომ მანქანებს და ავტობუსებს შეუფერხებლად გაჩერებისა და მანევრირების საშუალება ჰქონდეს;
- ზემოხსენებული ზომების განხორციელება და სათანადო მართვა შეამცირებს უარყოფით ზეგავლენას, რომელიც საცობებს ახლავს და რასაც შედეგად მოჰყვება გამონაბოლქვებისა და ხმაურის მოცულობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე.

რელიგიური საკულტო ობიექტების ტერიტორიაზე აკრძალულია ხმაური და ყვირილი.

რელიგიური საკულტო ობიექტების ტერიტორიაზე მოქმედებს დრეს-კოდი (ჩაცმულობის რეგლამენტი)
შეზღუდვა დაწესებულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოსა და მონასტრის მმართველობის მიერ. ქალებს არ უნდა ეცვათ მოკლე შარვლები ან ღია მაისურები და წარმოდგენილები უნდა იყვნენ ქვედაბოლოებით და თავსაბურავებით, თავსაბურავები უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი შესასვლელებში; კაცებს არ უნდა ეხუროთ სპორტული კეპები და არ უნდა ეცვათ მოკლე შარვლები.

ფოტოგადაღება მონასტრებში: ზოგიერთ მონასტერში არ არის რეკომენდირებული ფოტოგადაღება ბერების სიტყვიერი ნებართვის გარეშე, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტი მონასტრის წარმომადგენლებთან. შესაძლოა დაშვებული იქნას გამონაკლისი მონასტრის წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

6. მონიტორინგი

მგფ-ს ეკისრება ზოგადი პასუხისმგებლობა გარემოზე ზემოქმედების შემამასუბუქებელი ზომების განხორციელების მონიტორინგზე. საკონსულტაციო ფირმა რომელიც დაქირავებულია სამუშაოების საზადამხედველოდ შეავსებს მგფ-ს შესაძლებლობებს მეთვალყურეობა გაუწიოს მოცემული ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების გარემოსდაცვით და სოციალურ შესატყვისობას. ყოველთვიურად შეივსება საველე მონიტორინგის საკონტროლო სია, რომელზედაც დართული იქნება ფოტო მასალა. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით მოხდება სიტყვიერი ანგარიშგება კვარტალურად, რომელიც მგფ-სათვის უზრუნველსაყოფი პროექტის მიმდინარეობის ანგარიშის ნაწილი იქნება. მგფ-მ ასევე უნდა მოიპოვოს კონტრაქტორებისაგან და შეინახოს ყველა ნებართვა, ლიცენზია, და შეთანხმების წერილი, რომელიც კონტრაქტორებს ევალებათ რომ ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მასალების მოპოვებაზე, ასფალტის და ბეტონის ქარხნების ოპერირებაზე და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების განკარგვაზე და ა.შ.

7. განხორციელების ხარჯები

შემოთავაზებული ინდივიდუალური შემამასუბუქებელი ზომების განხორციელების ხარჯები უმნიშვნელოა და მათი გამოცალკევება სამშნებლო ოპერაციების ხარჯებიდან საკმაოდ რთულია. მიუხედავად ამისა რეკომენდირებულია რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხარჯთაღრიცხვები შეიცავდეს პუნქტს ნარჩენებისა და დარჩენილი მასალების განკარგვის თაობაზე. სხვა ხარჯები რომელიც დაკავშირებულია მიღებულ გარემოსადაცით პრაქტიკასთან და წინამდებარე გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან შესატყვისობასთან ინტეგრირებული უნდა იქნას სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების განფასებებში.

8. საჯარო კონსულტაციები

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მიმოხვილვის დოკუმენტი, თანდართულ გარემოსდაცვით ღონისძიებათა გეგმასთან ერთად სამუშაოების დაწყებამდე განხილულ იქნა ბენეფიციარ თემთან ერთად. შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 21 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში, სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში (შეხვედრის ოქმი თან ერთვის დოკუმენტს - დანართი 7). ინფორმაცია ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიაობის შესახებ, ღია და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვი.

დართი დ. მონიტორინგის მართვის გეგმა

საქმიანობა	რა (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
სამშენებლო ფაზა						
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყონებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნაგვით დაბინძურების თავიდან აცილება ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	**რა** (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	**რატომ** (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა სატვირთო ავტომობილების შემოსაზღვრა და დაცვა სპეციალური საფარით ტრანსპორტირების განსაზღვრული საათებისა და მარშრუტების დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმებები, როგორც სამუშაო, ისე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებისაგან დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე დაყვანა.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

საქმიანობა	**რა** (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	**რატომ** (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
ინერტული მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვრბის ლიცენზიის მიღება მშენებლი კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა; კარიერის ტერასებად დაყოფა, კარიერის დამუშავებული ადგილების უკუჩაყრა და ლანდშაფტთან ჰარმონიზაცია; მდინარის კალაპოტიდან ხრეშისა და ქვიშის ამოღება, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა მოპოვების ტერიტორიასა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მექანიზმების შესვლა წყლის ნაკადში.	კარიერის ზონები	დოკუმენტების შემოწმება სამუშაოების შემოწმება	მასალების მოპოვების პროცესში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შემცირება; მდინარის ნაპირების ეროზიის, წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და წყლის მობინადრეების საარსებო პირობების დარღვევის მინიმუმამდე დაყვანა.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	**რა** (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	**რატომ** (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროულად გადაყრა ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში	სამშენებლო ტერიტორია; ნაგავსაყრელი ტერიტორია	შემოწმება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენები უნდა შეგროვდეს და შენახული იქნას წესების თანახმად, დახურულ და დაცულ ადგილას, სპეციალურ კონტეინერებში და/ან პლასტმასის პარკებში. ნარჩენების დროულად გადაყრა ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში	სამშენებლო ტერიტორია; ნებადართული ნაგავსაყრელი ტერიტორია	შემოწმება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების სახიფათო ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ახლადჩაწყობილი მილების რეცხვა და დეზინფექცია	მადეზინფიცირებელი გამხსნელის ნეიტრალიზაცია ბუნებრივ გარემოში გაშვებამდე	მილსადენის ბოლოებში	შემოწმება	მილსადენის რეცხვისას მისი მონტაჟის დასრულების შემდეგ	კონცენტრირებული მადეზინფიცირებელი გამხსნელის გაშვების შედეგად გარემოსათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	**რა** (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	**რატომ** (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/შემოვლის ნიშნების დადგმა; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნაგვის დროებითი განთავსება ისე რომ თავიდან იქნას აცილებული საცობები მისასვლელ გზებზე	სამშენებლო ტერიტორიაზე და მის გარშემო	შემოწმება	სამშენებლო სამუშაოების პროცესში	სატრანსპორტო მოძრაობის დროს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით; ადგილობრივი მაცხოვრებლების დისკომფორტის შემცირების მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების აღჭურვა ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრი დაცვის შესახებ	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	სამუშაო ადგილზე უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილები მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	**რა** (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	**როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	**რატომ** (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)
ექსპლოატაციის ფაზა						
ვიზიტორების ცენტრში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების განკარგვა	ნაგვის ურნების და ნარჩენების დროულად გატანის უზრუნველყოფა	რეაბილიტირებული ობიექტები	შემოწმება	ობიექტის ექსპლოატაციისას	ობიექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
წყალმომარაგების სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ბლოკის მომსახურება	გაჟონვების არარსებობა წყალმომარაგების სისტემაში და უწყვეტი წყალმომარაგება	რეაბილიტირებული ობიექტი	შემოწმება	ობიექტების ექსპლოატაციის პერიოდში	წყლის დანაკარგის თავიდან აცილება ზედაპირული და გრუნტის წყლების გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან აცილება	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
სამონასტრო კომპლექსისა და ვიზიტორების ცენტრის ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა	უნებართვო მშენებლობებისა და არაფორმალური მიწათსარგებლობის აღკვეთა ისტორიული ობიექტის სიახლოვეში	რეაბილიტირებული ობიექტი	შემოწმება	ობიექტების ექსპლოატაციის პერიოდში	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და ესთეტური ღირებულების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

დანართი 1. ნინოწმინდის რუკა



დანართი 2. ფოტოები

დანართი 3. გენგეგმა



დანართი 4. წერილის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი

ნინოწმინდისა და საგარეჯოს
ეპისკოპოსი ლუკა

28 აპრილი, 2014

მეუფე ლუკა,

ჩვენი, 2014 წლის 23 აპრილის შეხვედრისას მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლის ბატონ დავით ჯინჭარაძის დასწრებით, განვიხილეთ სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროექტო სამუშაოები. აგრეთვე, საპროექტო დავალების ფარგლებში მოქცეული უშუალოდ კომპლექსში შემავალი საცხოვრებელ შენობებთან დაკავშირებული სამშენებლო ღონისძიებები.

ჩვენი საპროექტო გადაწყვეტილების ძირითად შინაარსს შეადგენს კომპლექსის აღმოსავლეთით მდებარე მონასტრის ტერიტორიად დასახელებული ტერიტორიის რეკონსტრუქცია, რაც გულისხმობს:

- საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო ნაკვეთის განსაზღვრას და მის გადასვლას მონასტრის ლეგალურ ფლობელობაში (ამასთან დაკავშირებით ჩვენ მივიღეთ ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლის წინასწარი თანხმობა). აკვეტის საერთო ფართი 920.0 m^2 ფარგლებშია;
- ნაკვეთის ჩრდილოეთ განაპირა კიდეზე, მომიჯნავე მოსახლის საკადასტრო საზღვრის პარალელურად კაპიტალური საყრდენი კედლის მშენებლობას. მშენებლობების პროცესში მომიჯნავის ნაკვეთს მშენბელობა არ შეეხება, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ეს კერძო ნაკვეთი გაფართოვდება დაახლოებით 50.0 m^2-ით.
- არსებული გადახურული პარკინგის დემონტაჟს და მის გადატანას ნაკვეთის ჩრდილოეთ განაპირა ახალ საყრდენ კიდელზე ახალი გადახურული ავტოფარეხის მოწყობას (თითოეულ სადგომს ეშნება მსუბუქი და გამჭვირვალე ლითონის ჭიშკარი ცხოველებისგან დასაცავად);
- ახალი საკადასტრო ნაკვეთის სამხრეთ კიდეზე, კერძო ნაკვეთის ღობის პარალელურად, საზოგადოებრივი ტუალეტის დაპროექტებას;
- საპროექტო ტერიტორიაზე სასმელი წყლის ჭაბურღილის გაყვანას (არ შედის უშუალოდ ჩვენს დავალებაში, თუმცა ჩვენ განვსაზღვრეთ მისი ადგილმდებარეობა);
- ახალი ნაკვეთის ზემოთ აღნიშნული პერიმეტრული მოშენების შედეგად მიიღება ცენტრალური გამწვანებული სივრცე, ხოლო მის ფარგლებში მოქცეული გზა მოასფალტდება.

მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ შენობებს ჩაუტარდებათ შემდეგი მოდიფიკაცია:

- შეიცვლება შეთავსებული სახურავის მასალა, ხოლო სხვენის მინაბამბის დათბუნება შეიცვლება სხვა მასალით, სანიტარული და თბოტექნიკური სტანდარტების გათვალისწინებით;
- ხის მზიდ კონსტრუქციას ჩაუტარდება აუცილებელი გაძლიერება; საცხოვრებელი ოთახების ჭერის არსებული შიდა მოპირკეთება შეიცვლება ხის მასალით;
- ისტორიული საცხოვრებელი სახლის რამოდენიმე წლის წინ მოწყობილი აივნის ამორტიზირებული მოაჯირები განახლდება;
- მონასტრის შიდა ეზოს ბილიკი მოიკირწყლება, ხოლო ეზო გამწვანდება;

მეუფე ლუკა, მადლობას გიხდით ზ.ა. განხლივისას თქვენს მიერ გამოთქმული წინასწარი თანხმობისთვის საპროექტო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რის შემდეგადაც ჩვენ დავასრულეთ პროექტის ესკიზური სტადია, და შესაბამისად წერილს ვურთავთ ნახაზებს, რომლებიც ასახავს ყველა ზემოთ აღნიშნულ საპროექტო გადაწყვეტილებას.

ავღნიშნავთ, რომ პროექტირების საწყის სტადიაზე ყველა ზემოთ აღნიშნული საპროექტო პრინციპი განხილულ და მიღებულ იქნა როგორც დამკვეთის, მუნიციპალური განვითარების ფონდის, აგრეთვე ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლების მიერ.

თქვენი წერილობითი თანხმობა (წარმოდგენილი ალბომის პირველ გვერდზე რეზოლუციის სახით) დაგვეხმარება საპროექტო დოკუმენტაციის დროულ და სრული მოცულობით დასრულებაში. მაისი შუა რიცხვებში პოექტის საბოლოო ვარიანტი ჩვენს მიერ იქნება წარდგენილი დამკვეთისა და ყველა მონაწილე მხარისთვის საბოლოო შეთანხმების, კორექტირების და დამტკიცებითვის.

პატივისცემით,

გიორგი შიხაშვილი
არქიტექტორი / ი.მ.

ნინოწმინდის და
სამცხეჯავახეთის
+ეპისკოპოსი

დანართი 5. მესაკუთრეების ხელმოწერილი თანხმობა და საკადასტრო ინფორმაცია

ნინოწმინდა, ძეგლთ ნ ასოცირებული ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის საპროექტო
პროგრამის შეთანხმება ადგილობრივ მასხოვრებლებთან
საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე მაცხოვრებლები

8 იენისი, 2014

ინფორმაცია პროექტის შესახებ

ჩვენი საპროექტო გადაწყვეტილების ძირითად შინაარსს შეადგენს კომპლექსის აღმოსავლეთით მდებარე მონასტრის ტერიტორიად დასახელებული ტერიტორიის რეკონსტრუქცია, რაც გულისხმობს:

- საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო ნაკვეთის განსაზღვრას და მის გადასვლას მონასტრის ლეგალურ ფლობელობაში (ამასთან დაკავშირებით ჩვენ მივიღეთ ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლის წინასწარი თანხმობა). აკვეტის საერთო ფართი 920.0 მ^2 ფარგლებშია;
- ნაკვეთის ჩრდილოეთ განაპირა კიდეზე, მომიჯნავე მოსახლის საკადასტრო საზღვრის პარალელურად კაპიტალური საყრდენი კედლის მშენებლობას. მშენებლობების პროცესში მომიჯნავის ნაკვეთს მშენბელობა არ შეეხება, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ეს კერძო ნაკვეთი გაფართოვდება დაახლოებით 50.0 მ^2-ით.
- არსებული გადახურული პარკინგის დემონტაჟს და მის გადატანას ნაკვეთის ჩრდილოეთ განაპირა ახალ საყრდენ კიდელზე ახალი გადახურული ავტოფარეხის მოწყობას (თითოეულ სადგომს ექნება მსუბუქი და გამჭვირვალე ლითონის ჭიშკარი ცხოველებისგან დასაცავად);
- ახალი საკადასტრო ნაკვეთის სამხრეთ კიდეზე, კერძო ნაკვეთის ღობის პარალელურად, საზოგადოებრივი ტუალეტის დაპროექტებას – მანძილი კედლიდან 1.5 მ;
- საკადასტორო ნაკვეთის საზრვრები ითვალისწინებს ტერიტორიაზე არსებულ ნაკვეთების საზღვრებს, მიუხედავად მათი სამოქალაქო რეესტრის მიერ რეგიტრაციისა. არსებული შემოღობილი ნაკვეთების გასწვრივ მოეწყობა ახალი დეკორატიული ხის ღობე.
- საპროექტო ტერიტორიაზე სასმელი წყლის ჭაბურღილის გაყვანას (არ შედის უშუალოდ ჩვენს დავალებაში, თუმცა ჩვენ განვსაზღვრეთ მისი ადგილმდებარეობა);
- ახალი ნაკვეთის ზემოთ აღნიშნული პერიმეტრული მოშენების შედეგად მიიღება ცენტრალური გაშწვანებული სივრცე, ხოლო მის ფარგლებში მოქცეული გზა მოასფალტდება.
- ადრე აშენებული საზოგადოებრივი ტუალეტი გადაკეთდება ღვინის სადეგუსტაციო სარდაფად.

ავღნიშნავთ, რომ პროექტირების საწყის სტადიაზე ყველა ზემოთ აღნიშნული საპროექტო პრინციპი განხილულ და მიღებულ იქნა როგორც დამკვეთის, მუნიციპალური განვითარების ფონდის, აგრეთვე ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის საგენტოს წარმომადგენლების მიერ.

თქვენი წერილობითი თანხმობა – რეზოლუცია - დაგვეხმარება საპროექტო დოკუმენტაციის დროულ და სრული მოცულობით დასრულებაში.

კერძოდ შეეთანხმდით შემდეგზე:

1. სოფ. ნინოწმინდა, ქ. №15, სახლი №12
   მზია ჩარაბოლაშვილი
   - ძველის მხრიდან, ღვინის სარადფის კედლის გასწვრივ, სახლში შესასვლელი ლითონის კარის წინ მოეწყობა დამატებითი ფოლადის დეკორატიული ჭიშკარი, რომელიც იქნება მოაცხოვრებლის საკუთრებაში და რომლითაც გაკონტროლდება მოძრაობა კერძო შენობის გარშემო.
   - სუვენირების მაღაზიის და საცხოვრებელი სახლის სახურავები შესწორდება წყლის საიმედო გადაყვანის მიზნით;
   - მოეწყობა წყალმომარაგება ღვინის სარდაფის ქსელიდან წყალმზომის მოწყობით;
   - დასრულდება კედლის დეკორატიული მოპირკეთება;
   - სახლის ტერასაზე არსებული ასბესტო ცემენტის შიფერის სახურავი შიცვლება მეტალო-კრამიტის სახურავით უკვე შესრულებული სხვენის ანალოგიურად (ფერი შეთანხმდება არქიტექტორთან) მზია ჩარაბოლაშვილი

2. სოფ. ნინოწმინდა, ქ. №14, სახლი №2
   ზაქარია გრძელაშვილი
   - დასრულდება კედლის დეკორატიული მოპირკეთება

ნინოწმინდა, ქუჩა №3, სახლი №16 ზაქარია გრძელაშვილი

3. აკაკი ამირანაშვილი
   - აშოშენდება და შეილესება ჩრდილოეთის მხრიდან არსებული ლითონი ჭიშკარი
   - ახალი საზოგადოებრივი ტუალეტი მოეწყობა კედლიდან მინიმუმ 1.5 მ
   - [illegible]

ნინოწმინდა, ქუჩა № 11, სახლი № 33

4. გიორგი ტობეშაშვილი
   - ეუთვნილი ნაგეთის სამხრეთიდან, საკადასტრო საზღვრის დაცილებით, აშენდება რკინაბეტონის საყრდენი კედელი;
   - სივრცე კედელსა და ნაკვეთს შორის შეივსება მიწით არსებულ ეზოს არსებულ დონემდე.

აკაკი ამირანაშვილი

გიორგი შიხაშვილი
არქიტექტორი / ი.მ.

დანართი 6. წერილები საგარეჯოს მუნიციპალიტეტისადმი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

2406-გ-2-201408271629

N 2406-გ 27/08/2014

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ გიორგი გზირიშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაგეგმილი აქვს განახორციელოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ნინოწმინდაში, დედათა მონასტრის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ, შესაძლო მოკლე ვადაში, უზრუნველყოთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია მუნიციპალურ საკუთრებად.

ამასთან დანართის სახით გიგზავნით მიწის ნაკვეთის აზომვით ნახაზს ელ. ვერსიით.

დანართი: ორი ფურცელი, 1 (CD).

პატივისცემით,

თორნიკე თორაძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

დირექტორი

№150 D. Agbmashenebeli Ave.
0112,Tbilisi,Georgia
Tel: (+99532) 2437000/2003
Fax: (+99532) 2437077
E-mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

2776-გ-2-201410071347

N 2776-გ 07/10/2014

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ გიორგი გზირიშვილი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაგეგმილი აქვს განახორციელოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ უდაბნოში, დავთ გარეჯის მონასტრის და სოფელ ნინოწმინდაში, დედათა მონასტრის მიმდებარედ ტურისტულ-ინფრასტრუქტურული შენობების მშენებლობა, ამავე პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია შენობების ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის მოწყობა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ, შესაძლო მოკლე ვადაში, უზრუნველყოთ წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაცია მუნიციპალურ საკუთრებად.

ამასთან დანართის სახით გიგზავნით მიწის ნაკვეთის აზომვით ნახაზებს ელ. ვერსიით.

დანართი: 8 ფურცელი, 4 (CD).

პატივისცემით,
თორნიკე თორაძე

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

დირექცია

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112,Tbilisi,Georgia
Tel: (+995322) 2437001/02/03
Fax: (+995322) 2437077
E-mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1533-გ-2-201405271129

N 1533-გ 27/05/2014

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ბესიკ მარტიაშვილს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაგეგმილი აქვს განახორციელოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ნინოწმინდაში დედათა მონასტრის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.
ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ, შესაძლო მოკლე ვადაში, უზრუნველყოთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია მუნიციპალურ საკუთრებად.
ამასთან დანართის სახით გიგზავნით მიწის ნაკვეთის აზომვით ნახაზს ელ. ვერსიით.

დანართი: ორი ფურცელი, 1 (CD).

პატივისცემით,

გიორგი სიმშიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112,Tbilisi,Georgia
Tel: (+99532) 2437001/2/03
Fax: (+99532) 2437077
E-mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

დანართი 7 - საჯარო განხილვის ოქმი

21 სექტემბერი, 2015 წელი
სოფელი ნინოწმინდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, საქართველო

რეგიონული განვითარების პროექტი

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის აღდგენა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსსა და ნინოწმინდის მონასტერში - ფაზა 2

გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის დოკუმენტების და გარემოს დაცვის მართვის გეგმების საჯარო განხილვა

2015 წლის 21 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში, სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნინოწმინდის მონასტრისა და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის დოკუმენტების და გარემოს დაცვის მართვის გეგმების საჯარო განხილვა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ სოფელ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები: ბადრი დემეტრაშვილი, თამარ გარსევანიძე

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები: მზია ჩარბოდაშვილი, ციური გიუნაშვილი, ზაქარია გრძელაშვილი, თამაზ ოკინაშვილი, ივანე ამირეჯიბი, აკაკი ამირანაშვილი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

თამარ ქარდავა - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი;

მარი ხოხობაშვილი - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სტაჟიორი სოციალური და გენდერული საკითხებში;

შეხვედრაზე ნინო პატარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია შეხვედრის მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისათვის მომზადებული სოციალური და გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის დოკუმენტები. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას და/ან რამე სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ყველა პროცედურა ქვეპრტოექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად

ნ. პატარაშვილმა ისაუბრა გარემოსდაცვითი შეფასების მიმოხილვის დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე, მათ შორის, გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის დოკუმენტი და მასზე თანდართული გარემოსდაცვითი მართვის გეგმასა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციეწლებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ნ. პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში. მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით საზოგადოების ჩართულობა მშენებლობის პროცესში ხელს შეუწყობს მუნიციპალური განვითარების ფონდს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არსებულ ბუნებრივ და

სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის რისკები და ქვე-პროექტი განხორციელდეს დარღვევების გარეშე, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	**პასუხები და კომენტარები**
ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვა ქვე-პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ რომლის დროსაც დაზიანდა მათი საცხოვრებელი სახლები. სწორედ ამიტომ მათ აინტერესებთ როგორ შეიძლება ამ ხარვეზების გამოსწორება?	ნ. პატარაშვილმა მოსახლეობას განუცხადა, რომ დეტალური პასუხის მიღების მიზნით უმჯობესია წერილობით მიმართონ მუნიციპალური განვითარების ფონდს.
როდის იგეგმება სამშენებლო სამუშაოების დაწყება?	ტენდერი მშენებელი კონტრაქტორის შერჩევის მიზნით გამოცხადებულია. გამარჯვებული კომპანიის გამოვლენისთანავე მოხდება სამშენებლო კომპანიის მობილიზაცია და სამუშაოების დაწყება. ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.
მოხდება თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება?	მსგავსი პროექტების გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, სამშენებლო კომპანიები უმეტესად ცდილობენ სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, გარდა იმ სპეციალისტებისა, რომელთაც აქვთ სამშენებლო ტექნიკაზე მუშაობის გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება პროექტის განხორციელების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ნაგებობების მშენებლობა და აღჭურვა დროულად დასრულდება და ხელს შეუწყობს რეგინში ტურიზმის განვითარებას.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტის ნინო პატარაშვილის მიერ.

21 სექტემბერი, 2015.

ფოტოები:

დამსწრეთა სია:



რეგიონული განვითარების პროექტი

ქვე-პროექტის - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინფრასტრუქტურის აღდგენა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსსა და ნინოწმინდაში

გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის დოკუმენტისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა

21 სექტემბერი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/მოქალაქე	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	599 25 10 65	[illegible]
2.	[illegible]	[illegible]	599 452547	[illegible]
3.	[illegible]	სოფ. ნინოწმინდის მსხოვრები	599-70-41-47	[illegible]
4.	[illegible]	სოფ. ნინოწმინდის მსხოვრები	593-49-16-20.	[illegible]
5.	[illegible]	სოფ. ნინოწმინდის მსხოვრები	574-877-144.	[illegible]
6.	[illegible]	სოფ. ნინოწმინდა	551-40-85-66	[illegible]

7.	[illegible]	[illegible]	598-60-01-01	[illegible]
8.	[illegible]	[illegible]	577 112-118	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	599318356	[illegible]
10.				
11.				
12.				
13.				
14.				
15.				
16.				
17.				